# Fintech-ის როლი საბანკო ინდუსტრიის განვითარების საკითხში - მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო

მარიამ ბიწაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კიკვიძე

სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბიწაძე

18.06.2021

# აბსტრაქტი

XXI საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების გავლენით სწრაფად იცვლება ფინანსური ეკოსისტემა. გაჩნდა ახალი დარგი-Fintech და აქტიურად ვითარდება. შესაბამისად აღნიშნულ ნაშრომში განხილულია Fintech-ის გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე. კვლევის ამოცანაა შეისწავლოს, როგორ გარდაქმნა ფინტექმა ტრადიციული საბანკო სისტემა და რა სახის გავლენა იქონია. ნაშრომში განხილულია ფინტექისა და ბანკის თანამშრომლობის საკითხი. ასევე, რამდენად არის იმის საფრთხე, რომ Fintech-მა ჩანაცვლოს ტრადიციული საბანკო სისტემა.

ნაშრომის დასაწყისში გაანალიზებულია არსებული საგაზეთო სტატიები, წიგნები, ჟურნალები, რომლებიც გვიჩვენებს მსოფლიოში არსებულ ვითარებას ამ მიმართულებით. ასევე ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები. პირველადი მონაცემები შეგროვდა კითხვარების საშუალებით. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა აღწერითი მონაცემების გამოყენებით.

შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ ფინტექი არ წარმადგენს საბანკო სისტემებისთვის საფრთხეს, პირიქით, საბანკო სექტორმა მაქსიმალურად უნდა ითანამშრომლოს მათთან. ფინტექ კომპანიებმა, პოზიტიურად შეცვალეს საბანკო სერვისები. მათ მომსახურებები უფრო ეფექტური, ხარისხიანი, სწრაფი და მომხმარებელზე მორგებული გახდა. ბანკს შეუმსუბუქა ადამიანური და ფინანსური რესურსები. დაეხმარა პროდუქტების გაყიდვასა და მეტი მოგების მიღებაში. კვლევის საფუძველზე შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები.



**ძირითადი საძიებო სიტყვები: Fintech, კომერციული ბანკი, საქართველო, ფინანსური ტექნოლოგიები.**

# Abstract

In the 21st century, the financial ecosystem is changing rapidly under the influence of digital technologies. A new branch has emerged - Fintech and is actively developing. Accordingly, this paper discusses the impact of Fintech on the Georgian banking sector. The aim of the study is to examine, how Fintech transformed the traditional banking system and what kind of impact it had. The paper discusses the issue of cooperation between Fintech and the bank. How dangerous is it for Fintech to replace the traditional banking system?!

The beginning of the paper analyzes the existing newspaper articles, books, magazines, which show the current situation in the world in this direction. Both qualitative and quantitative studies were conducted. Primary data were collected through questionnaires. The collected data were analyzed using descriptive data.

The results showed that Fintech does not pose a threat to the banking systems, on the contrary, the banking sector should cooperate with them as much as possible. Fintech companies have positively changed their banking services. They made their services more efficient, quality, fast and customer-friendly. The bank has eased its human and financial resources. Helped sell products and made them more profitable. Some recommendations have been developed based on the research.

**Main keywords: Fintech, Commercial Bank, Georgia, Financial Technologies.**